თბილისი, 13.03.2024

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი კონკურსის საკონკურსო-სააპელაციო კომისიის (დამტკიცებულია თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №19 დადგენილებით) სხდომის

შემაჯამებელი ოქმი №3

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ლევან ხარანაული (კომისიის თავმჯდომარე)
2. თეოდორე ნინოძე (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ირაკლი კახიძე (კომისიის მდივანი)

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის (დამტკიცებულია თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №19 დადგენილებით) 2024 წლის 1 მარტის №3 შემაჯამებელი ოქმით მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ირაკლი ყანდაშვილის საჩივრის შესწავლის შედეგად კომისიის შემაჯამებელი დასკვნის მომზადება.

საკონკურსო-სააპელაციო კომისიამ (შემდგომში, კომისია) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი რეგულაციების და საკონკურსო კომისიის მასალების, აგრეთვე საჩივრის, საჩივრის ავტორის მიერ კომისიის 12 მარტის №2 სხდომაზე წარმოდგენილი განმარტებების გათვალისწინებით დაასრულა კომისიის შემაჯამებელი დასკვნის მომზადება.

2. საკონკურსო-სააპელაციო კომისიის შემაჯამებელი დასკვნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის 2024 წლის 1 მარტის №3 შემაჯამებელი ოქმით მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე ირაკლი ყანდაშვილის საჩივართან დაკავშირებით.

კომისიის წევრებმა განიხილეს საკონკურსო-სააპელაციო კომისიის შემაჯამებელი დასკვნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის 2024 წლის 1 მარტის №3 შემაჯამებელი ოქმით მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე ირაკლი ყანდაშვილის საჩივართან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“ მე-8 მუხლის 9-12 პუნქტების მიხედვით,

ა) მოწონებულ იქნეს ოქმზე თანდართული დანართი (8 ფურც.) - „საკონკურსო-სააპელაციო კომისიის შემაჯამებელი დასკვნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის 2024 წლის 1 მარტის №3 შემაჯამებელი ოქმით მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე ირაკლი ყანდაშვილის საჩივართან დაკავშირებით“ (შემდგომში, შემაჯამებელი დასკვნა).

ბ) საჩივარში დასმული საკითხები არ იქნა გაზიარებული. კომისიის შემაჯამებელი დასკვნით, საკონკურსო კომისიის 2024 წლის 22 თებერვლის №3 შემაჯამებელი ოქმით მიღებულ გადაწყვეტილება კერძო სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის „ბ“ კატეგორიის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების ნაწილში შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ, საკონკურსო კომისიამ კონკურსი ჩაატარა და გამარჯვებულები გამოავლინა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით და კონკურსი აკმაყოფილებდა თსუ-ს წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

გ) საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება და საკონკურსო სააპელაციო კომისიის შემაჯამებელი დასკვნა კონკურსის შედეგებთან დაკავშირებით დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა:

ლევან ხარანაული (კომისიის თავმჯდომარე) .....

თევდორე ნინიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) .....

ირაკლი კახიძე (კომისიის მდივანი) .....